



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“**ზ ა მ ტ ბ ი ც ე ბ**”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

04 11

„-----“-----“ 2016 წელი

ეგზ N1

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

2015 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიში N65/36

სარჩევი

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ფორმა N1 ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)	9
ფორმა N2 ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში	10
ფორმა N3 ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში	11
ფორმა N4 კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში.....	12
ფორმა N5 ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიში	13
დანართი N1 ინფორმაცია ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების ანგარიშებზე და საცნობარო მუხლებზე არსებული ნაშთების შესახებ	14
დანართი N2 ორგანიზაციის ანგარიში შემოსავლების და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	17
დანართი N3 ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ	20
დანართი N4 ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ.....	21
დანართი N5 ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ	22
დანართი N6 ორგანიზაციის ანგარიში არასოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ	24
დანართი N8 ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე	25
დანართი N9 ინფორმაცია ორგანიზაციების ანგარიშებზე რიცხულ დებიტორული დავალიანებათა შესახებ	26
დანართი N10 ინფორმაცია ორგანიზაციის ანგარიშებზე რიცხულ კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ	28
დანართი N11 ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში	30
დანართი N12 ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში.....	42

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტიური თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს¹ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორის პასუხისმგებლობაში შედის, რომ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

¹ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება. დანართები 1-დან 12-მდე.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კონსოლიდაციის პროცესი

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ელიმინირებული² შიდა ჯგუფური ოპერაციები და ნაშთები, კერძოდ:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატს (შემდგომში „აპარატი“) ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსათვის (შემდგომში „სააგენტო“) პროგრამების განსახორციელებლად გადარიცხული თანხები აღრიცხული აქვს სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების მუხლში (საბოლოო ნაშთი - 16,199,796 ლარი). პროგრამის ანგარიშის წარმოდგენის შემდგომ ხდება დებიტორული დავალიანების შემცირება. სააგენტოს აპარატისგან წინა წლებში მიღებული ფულადი სახსრები აღრიცხული აქვს, როგორც საკუთარი შემოსავლები და აპარატის წინაშე ვალდებულება არ აქვს დაფიქსირებული. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების მუხლისა და გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი გაზრდილია 16,199,796 ლარით.

სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს (შემდგომში „კოოპერატივი“) აპარატისგან გრანტის სახით მიღებული აქვს 54,997 ლარის ღირებულების ავტომანქანა. შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლების მუხლი - კაპიტალური გრანტები სასაქონლო ფორმით და ხარჯების მუხლი - კაპიტალური გრანტები სასაქონლო ფორმით გაზრდილია ამავე ოდენობით.

კოოპერატივს აპარატისგან გრანტის სახით მიღებული აქვს 24,204 ლარის ღირებულების სხვა მატერიალური მარაგი და სხვა მანქანა - დანადგარები და ინვენტარი. შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლების მუხლი - კაპიტალური გრანტები სასაქონლო ფორმით და ხარჯების მუხლი - კაპიტალური გრანტები სასაქონლო ფორმით გაზრდილია ამავე ოდენობით.

სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში „სურსათის სააგენტო“) აპარატისგან გრანტის სახით მიღებული აქვს 130,031 ლარის ღირებულების ავტომანქანები. შედეგად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლების მუხლი - კაპიტალური გრანტები სასაქონლო ფორმით და ხარჯების მუხლი - კაპიტალური გრანტები სასაქონლო ფორმით გაზრდილია ამავე ოდენობით.

აპარატს სურსათის სააგენტოსგან გრანტის სახით მიღებული აქვს 81,998 ლარის ღირებულების ავტომანქანები. შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლების მუხლი - კაპიტალური გრანტები სასაქონლო ფორმით და ხარჯების მუხლი - კაპიტალური გრანტები სასაქონლო ფორმით გაზრდილია ამავე ოდენობით.

აპარატს სურსათის სააგენტოსგან გრანტის სახით მიღებული აქვს სხვა მანქანა - დანადგარები, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები და სხვა მატერიალური მარაგები, შესაბამისი ღირებულებებით 88,784 ლარი, 1,872 ლარი და 3,546 ლარი. შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლები - მიმდინარე და კაპიტალური გრანტები სასაქონლო ფორმით და შემოსავლების მუხლები - მიმდინარე და კაპიტალური გრანტები სასაქონლო ფორმით გაზრდილია 94,202 ლარით.

სსიპ ღვინის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში „ღვინის სააგენტო“) 2014 წლის 30 დეკემბრის ბრძანებით აპარატისგან გრანტის სახით მიღებული აქვს 54,523 ლარის ღირებულების ავტომანქანა. აღნიშნულზე მიღება - ჩაბარების აქტი შედგა 2015 წლის 9 იანვარს, შესაბამისად აპარატს ხარჯებში ჩამოწერილი აქვს 47,646 ლარად, ცვეთის თანხის 6,877 ლარის გამოკლებით. ღვინის სააგენტოს შემოსავლად აღიარებული აქვს 54,523 ლარით. შედეგად, ღვინის ეროვნულ სააგენტოში შემოსავლების

² „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანების მუხლი 18, პუნქტი 29

მუხლი და არაფინანსური აქტივების მუხლი გაზრდილია 6,877 ლარით, ხოლო კონსოლიდაციის მიზნებისთვის, შემოსავლების და ხარჯების მუხლი გაზრდილია 47,646 ლარით.

აპარატს 2014 წლის 26 დეკემბერს ღვინის სააგენტოსგან მიღებული აქვს 47,879 ლარის ღირებულების ავტომანქანა, შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლების მუხლი - კაპიტალური გრანტები სასაქონლო ფორმით და ხარჯის მუხლი - კაპიტალური გრანტები სასაქონლო ფორმით გაზრდილია ამავე ოდენობით.

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიას (შემდგომში „ლაბორატორია“) აპარატისგან მიღებული აქვს 451,272 ლარის ღირებულების ავტომანქანები (პიკაპი). შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლების მუხლი - კაპიტალური გრანტები სასაქონლო ფორმით და ხარჯის მუხლი - კაპიტალური გრანტები სასაქონლო ფორმით გაზრდილია ამავე ოდენობით.

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს (შემდგომში „ცენტრი“) აპარატისგან გრანტის სახით მიღებული აქვს 88,368 ლარის ღირებულების ავტომანქანები. შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლების მუხლი - კაპიტალური გრანტები სასაქონლო ფორმით და ხარჯის მუხლი - კაპიტალური გრანტები სასაქონლო ფორმით გაზრდილია ამავე ოდენობით.

აპარატს ცენტრისგან გრანტის სახით მიღებული აქვს 15,581 ლარის ღირებულების ავტომანქანა. შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლების მუხლი - კაპიტალური გრანტები სასაქონლო ფორმით და ხარჯის მუხლი - კაპიტალური გრანტები სასაქონლო ფორმით გაზრდილია ამავე ოდენობით.

აპარატს ცენტრისგან გრანტის სახით მიღებული აქვს 38,956 ლარის ღირებულების გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივი და სხვა მანქანა-დანადგარი და ინვენტარი. შედეგად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლების მუხლი - კაპიტალური გრანტები სასაქონლო ფორმით და ხარჯის მუხლი - კაპიტალური გრანტები სასაქონლო ფორმით გაზრდილია ამავე ოდენობით.

„Comprehensive Institution Building“ პროგრამის ფარგლებში სურსათის სააგენტოს შეძენილი აქვს სხვა მატერიალური მარაგი, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივი და სხვა მანქანა-დანადგარი და ინვენტარი, შემდგომში ლაბორატორიაზე გადაცემის მიზნით. შესყიდვისას დგება სამმხრივი მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერენ ლაბორატორიის, სურსათის სააგენტოსა და მომწოდებელი ორგანიზაციის მხარეები. 2015 წელს სურსათის სააგენტოს უცხოური ვალუტით სულ შესყიდული აქვს 2,418,071 ლარის ღირებულების აქტივი, რომლის ანგარიშსწორების პირობები ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. შესაბამისად შესყიდვისა და მიღება-ჩაბარების დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსი განსხვავდება ერთმანეთისგან, რამაც გამოიწვია სხვაობა სურსათის სააგენტოს მიერ ხარჯებში ჩამოწერილ თანხასა და ლაბორატორიის მიერ აღიარებულ აქტივების ღირებულებებს შორის. კერძოდ, ლაბორატორიას მიღებული აქვს 205,377 ლარის ღირებულების სხვა მატერიალური მარაგი, 74,034 ლარის ღირებულების გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივი და 2,066,543 ლარის სხვა მანქანა-დანადგარი და ინვენტარი, სულ მათი ღირებულება შეადგენს 2,346,454 ლარს, რაც 71,617 ლარით ნაკლებია სურსათის სააგენტოს მიერ გადახდილ ფასთან შედარებით. შედეგად, ხარჯებისა და შემოსავლების მუხლი გაზრდილია 2,418,071 ლარით, ხოლო აქტივების ღირებულება შემცირებულია 71,617 ლარით.

სურსათის სააგენტოს ლაბორატორიის მიმართ მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი დავალიანების ნაშთი წლის ბოლოს შეადგენს 6,285 ლარს, ხოლო დარიცხული შემოსავალი და ხარჯი შეადგენს 544,690 ლარს. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები და სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანების ნაშთი გაზრდილია 6,285 ლარით, ხოლო სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების (ხარჯები) და საბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურების (შემოსავლები) მუხლი 544,690 ლარით.

სულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, შემოსავლებისა და ხარჯების მუხლიდან ელიმინირებას ექვემდებარება 3,860,218 ლარი, აქტივებიდან - 16,206,081 ლარი, გაუნაწილებელი მოგებიდან - 16,199,796 ლარი და ვალდებულებებიდან - 6,285 ლარი.

ფასეულობები

ღვინის სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული მის საკუთრებაში არსებული ფასეულობები, კერძოდ: არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ექსპონატები, ასევე ენოთეკა. გამომდინარე იქიდან, რომ მათი ღირებულებები არ არის შეფასებული (სამინისტროს განმარტებით „ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან“ დაწყებულია მოლაპარაკებები აღნიშნულთან დაკავშირებით), შეუძლებელია განისაზღვროს, თუ რა თანხით არის სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასეულობების მუხლი შემცირებული.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ასახავს სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

მნიშვნელოვან საკითხთა აზიზი

სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები

აპარატის სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების ნაშთი მოიცავს ყოფილი სსიპ „მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის“ ვადაგადაცილებულ დებიტორულ დავალიანებებსაც, კერძოდ საკრედიტო კავშირებზე გაცემულ მოკლევადიან სესხებს 2,135,497 ლარის ოდენობით, მასზე დარიცხულ პროცენტს - 783,504 და პირგასამტეხლოს - 3,337,859. სულ ვადაგადაცილებული დავალიანებები შეადგენს 6,256,860 ლარს. აღნიშნული დავალიანებების ამოღების ალბათობა ძალიან მცირეა.

სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სააგენტოს მოკლევადიანი მოთხოვნების ნაშთი მოიცავს 884,058 ლარის დებიტორულ დავალიანებას, რომელიც წარმოადგენს სამეწარმეო კოოპერატივ „ქვემო ნიქოზზე“ 2012 წელს გაცემულ სესხსა და მასზე დარიცხულ პროცენტის ნაშთებს (ძირი - 764,226 ლარი, პროცენტი - 119,832 ლარი). აღნიშნული დავალიანების ამოღების ალბათობა ძალიან მცირეა.

ძირითადი და არაწარმოებული აქტივები

სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 2015 წელს გადმოცემული მიწა და მასზე არსებული შენობა, რომლის რეალური ღირებულების გაანგარიშება არ მომხდარა და 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს ბალანსში ასახულია 1 ლარად. აღნიშნული ქონება 2016 წელს გადაეცა ქონების ეროვნულ სააგენტოს.

სურსათის სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ნულოვანი ღირებულებით ასახულია 7 ერთეული მიწის ნაკვეთი და 6 ერთეული არასაცხოვრებელი შენობა. აღნიშნული ქონების შეფასება განხორციელდა 2016 წელს და მიწის ნაკვეთების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა - 1,146,167 ლარი, ხოლო არასაცხოვრებელი შენობების ღირებულებამ - 502,660 ლარი.

აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში 5 ერთეული არასაცხოვრებელი შენობა ასახულია 1 ლარად. აღნიშნული ქონების შეფასება განხორციელდა 2016 წელს და შენობების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 294,053 ლარი.

ღვინის სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული 8,878 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც ბრძანებით გადაეცა 2012 წლის 13 დეკემბერს³. აღნიშნული ქონების შეფასება განხორციელდა 2016 წელს და მიწის ნაკვეთის ღირებულებამ შეადგინა 408,388 ლარი.

სხვა საკითხთა აზიზი

შრომის ანაზღაურება

აპარატის ყველა თანამშრომელს დანიშნული აქვს ყოველთვიური დანამატი მინისტრის ბრძანებით (ჯერ 6 თვით, შემდეგ 3-3 თვით. საფუძველი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37 მუხლის მე-2 პუნქტი). დანამატი დანიშნულია თანამდებობების მიხედვით: (მინისტრის მოადგილეებზე თანამდებობრივი სარგოს 100%; დეპარტამენტის უფროსებზე - 75%; დანარჩენ პერსონალზე - 45%) .

სსიპ-ების თანამშრომლებზე დანამატები განსაზღვრულია უწყების ხელმძღვანელის ერთი ბრძანების საფუძველზე, წინასწარ მთელი წლის გათვალისწინებით (სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით მათი უწყებისათვის დამტკიცებული დებულების შესაბამისად) სხვადასხვა ოდენობით:

³ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 13 დეკემბრის #2-241 ბრძანება.

მენეჯმენტზე თანამდებობრივი სარგოს 70-40%, ხოლო დანარჩენ თანამშრომლებზე - 35-20% ოდენობით.

დანამატების ცხრილი ორგანიზაციების მიხედვით.

კოდი	დასახელება	წინასწარ ბრძანებით დანამატის მიმღები საშტატო რაოდენობა	ბრძანებით დანიშნული ყოველთვიური დანამატი
37 01 01	აპარატი	159	96,360
37 02 01	სურსათის სააგენტო	513	123,475
37 01 05	კოოპერატივი	8	3,675
37 03 01	ღვინის სააგენტო	50	23,527
37 04 01	ცენტრი	32	14,670
სულ		762	261,707

გამოვლენილი გარემოება

ერთი ბრძანების საფუძველზე, წინასწარ მთელი წლის განმავლობაში დანამატის დანიშვნა თანამდებობრივი სარგოს ხასიათს უფრო ატარებს, ვიდრე დანამატის, რაც გამართლებულ პრაქტიკად ვერ ჩაითვლება. დანამატის გაცემის შემთხვევაში ზეგანაკვეთური მუშაობის, ან/და განსაკუთრებული სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების შედგენა ორგანიზაციაში არ ხდება.

აუდიტორთა ხელმოწერა:

ბიჭიკო ზარქუა

(უფროსი აუდიტორი)



ანა ალავერდაშვილი

(წამყვანი აუდიტორი)




რაინ ყუფუნია

(წამყვანი აუდიტორი)



ანა ბახტაძე

(აუდიტორი)



მარიამ ღირსიაშვილი

(აუდიტორი)



ირაკლი ბაჩიაშვილი

(აუდიტორ-ასისტენტი)



სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ფორმა N1 ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

დასახელება	ანგარიში	2015 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)	2014 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
010 აქტივები			
020 მოკლევადიანი აქტივები			
030 ფულადი სახსრები	1100-1200	49,807,137	75,165,399
040 სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	43,083,865	17,533,325
050 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	25,099,823	216,054,102
060 სხვა მატერიალური მარაგები	1620	3,871,811	5,011,405
070 სულ მოკლევადიანი აქტივები		121,862,636	313,764,231
080 გრძელვადიანი აქტივები			
090 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	1,113,231,224	1,039,716,781
100 სტრატეგიული მარაგები	1610	-	-
110 გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	848,890	765,362
120 ძირითადი აქტივები	2100	50,664,087	36,622,616
130 ფასეულობები	2300	-	-
140 არაწარმოებული აქტივები	2400	7,143,145	6,344,167
150 სულ გრძელვადიანი აქტივები		1,171,887,346	1,083,448,926
160 ბალანსი		1,293,749,982	1,397,213,157
170 ვალდებულებები			
180 მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
190 მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	92,280	1,407,562
200 სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	6,408,241	7,117,994
210 სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		6,500,521	8,525,556
220 გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300	4,300,000	3,300,000
230 სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,300,000	3,300,000
240 სულ ვალდებულებები		10,800,521	11,825,556
250 კაპიტალი			
260 აქტივების წმინდა ღირებულება	5100	1,261,060,410	1,332,526,708
270 გაუნაწილებელი მოგება	5220	21,889,051	52,860,893
280 დაუფარავი ზარალი	5230	-	-
290 სულ კაპიტალი		1,282,949,461	1,385,387,601
300 ბალანსი		1,293,749,982	1,397,213,157

სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ფორმა N2 ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

2015 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)

დასახელება	ბიუჯეტი	ეკონომიური საქმიანობა	სულ	2014 წლის 31 დეკემბერი
010 ბიუჯეტიდან დაფინანსება	314,332,135		314,332,135	265,755,996
020 შემოსავლები (030+040+050+060)	38,507,044	4,319,828	42,826,872	11,626,636
050 გრანტები	34,579,224	61,250	34,640,474	8,187,289
060 სხვა შემოსავლები (070+080+090+100+110)	3,927,820	4,258,578	8,186,398	3,439,347
070 ა. ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლები	-	1,525	1,525	-
080 ბ. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	4,201,050	4,201,050	3,420,730
090 გ. სანქციები, ჯარიმები, საურავები	3,878,921	1,329	3,880,250	-
100 დ. ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	2,801	-	2,801	3,679
110 ე. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	46,098	54,674	100,772	14,938
120 სულ (010+020)	352,839,179	4,319,828	357,159,007	277,382,632
130 ხარჯები				
140 მომუშავეთა ანაზღაურება	20,500,849	1,983,467	22,484,316	19,684,092
150 საქონელიდამომსახურება	27,597,003	2,946,730	30,543,733	22,052,716
160 ძირითადიკაპიტალისმოხმარება	3,808,551	186,227	3,994,778	2,615,926
170 პროცენტი	-	45,702	45,702	-
180 სუბსიდიები	67,166,989	23,416,654	90,583,643	38,958,041
190 გრანტები	55,438,812	-	55,438,812	592,021
200 სოციალურიუზრუნველყოფა	196,401	16,008	212,409	158,860
210 სხვა ხარჯები	259,600,885	7,710,261	267,311,146	35,543,638
230 სულ (140+150+160+170+180+190+200+210+220)	434,309,490	36,305,049	470,614,539	119,605,294
240 ფინანსური შედეგი (120-220)	(81,470,311)	(31,985,221)	(113,455,532)	157,777,338

სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ფორმა N3 ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში	საკუთარი ფულადი სახსრები	სულ
010 წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	(71,466,298)	(30,971,842)	(102,438,140)
020 კორექტირებები:	188,890,106	2,496,928	191,387,034
030 ცვეთა (+)	3,808,551	186,227	3,994,778
040 აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	(3,202,335)	15,317	(3,187,018)
050 მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	1,107,830	31,763	1,139,593
060 გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	(82,070)	(1,456)	(83,526)
070 დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	188,042,232	952,546	188,994,778
080 კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	(784,102)	1,312,531	528,429
090 წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	117,423,808	(28,474,914)	88,948,894
100 ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან			
160 არაფინანსური აქტივების შესყიდვა	14,347,805	247,112	14,594,917
170 ძირითადი აქტივები	14,340,731	247,112	14,587,843
200 არაწარმოებული აქტივები	7,074	-	7,074
210 წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	(14,347,805)	(247,112)	(14,594,917)
220 ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
230 წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	(97,857,953)	(514,938)	(98,372,891)
240 წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	(1,339,345)	-	(1,339,345)
250 წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(99,197,298)	(514,938)	(99,712,236)
260 ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	3,878,705	(29,236,964)	(25,358,259)
270 ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	25,767,944	49,397,455	75,165,399
280 ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	29,646,649	20,160,488	49,807,137

სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ფორმა N4 კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში

		(საანგარიშო წელი)		
N	დასახელება	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ
010	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	1,332,526,708	52,860,893	1,385,387,601
020	არასაოპერაციო შემოსავლები (030+040)	19,295,494	2,624,335	21,919,829
030	კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	7,592,586	628,463	8,221,049
040	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	11,702,908	1,995,872	13,698,780
050	არასაოპერაციო ხარჯები (060+070)	2,946,454	1,336,144	4,282,598
060	კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	29,023	115,535	144,558
070	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	2,917,431	1,220,609	4,138,040
080	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები (090+100)	6,345,027	274,812	6,619,839
090	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	6,345,027	(8,642)	6,336,385
100	მოგების გადასახადი	-	283,454	283,454
110	საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	(81,470,311)	(31,985,221)	(113,455,532)
120	ნაშთი წლის ბოლოს (010+020-050-080+110)	1,261,060,410	21,889,051	1,282,949,461

სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ფორმა N5 ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის	საკასო ხარჯი	გადახრა % დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის	ფაქტობრი ვი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ და საკასო ხარჯს შორის
010 ხარჯები	168,330,010	182,565,670	108%	186,784,059	102%	434,309,490	247,525,431
020 მათ შორის:							
030 შრომის ანაზღაურება	20,770,000	20,568,500	99%	20,501,401	100%	20,500,849	(552)
040 არაფინანსური აქტივების ზრდა	15,369,990	14,149,990	92%	14,347,808	101%	-	(14,347,808)
050 ფინანსური აქტივების ზრდა	78,750,000	114,387,000	145%	113,197,278	99%	-	(113,197,278)
060 ვალდებულებების კლება	-	3,340		2,992	90%	-	(2,992)

სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დანართი N1 ინფორმაცია ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების ანგარიშებზე და საცნობარო მუხლებზე არსებული ნაშთების შესახებ

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს	ნაშთი წლის დასაწყისისთვის
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული საღაროში ეროვნულ ვალუტაში	1110	10	10
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210	237,263	48,299,171
040	სხვა ანგარიშები ბანკში	1220	18,000,000	-
050	მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის	1230	1,922,990	1,098,284
060	ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის	1240	2,237,300	6,172,185
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260	5,388,703	4,378,702
090	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270	22,019,673	15,181,697
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280	1,198	35,350
140	მოკლევადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით	1322	5,799,913	5,508,464
150	აქციები და სხვა კაპიტალი	1330	24,567,000	-
170	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351	794,675	688,800
180	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352	1,132,100	1,132,334
200	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354	9,462,788	6,804,774
210	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355	3,554,231	3,430,446
220	გადახდილი დღგ	1356	5,986	1,150,397
230	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357	359,663	296,258
240	სხვა საგადასახადო აქტივი	1358	48,840	39,945
280	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420	19,961	-
290	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	20,559,969	210,407,150
300	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432	894,212	2,392,801
310	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440	561,802	572,175
320	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები ავანსად გაცემული თანხებით	1451	-	512
330	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები სხვა თანხებით	1452	5,781	26,788
340	მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით	1461	5,588	4,299
350	მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის გარეთ	1462	7,112	-

სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დანართი N1 ინფორმაცია ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების ანგარიშებზე და საცნობარო მუხლებზე არსებული ნაშთების შესახებ (გაგრძელება)

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს	ნაშთი წლის დასაწყისისთვის
360	მომუშავეების მიმართ სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1463	314	56,471
370	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470	3,995	35,129
380	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480	399,758	1,040,684
390	გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხები	1511	10,488,596	8,806,891
400	გრძელვადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით	1512	11,293,026	12,663,763
410	აქციები და სხვა კაპიტალი	1520	1,090,214,176	1,017,481,901
430	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540	1,235,426	764,226
II. არაფინანსური აქტივები				
450	ნედლეული და მასალები	1621	110,869	172,224
460	დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურება	1622	631,367	727,566
470	მზა პროდუქცია	1623	2,069	3,143
490	ფულადი დოკუმენტები	1625	83,747	104,748
500	სათადარიგო ნაწილები	1626	55,548	62,097
510	სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	1627	2,988,211	3,941,627
520	საცხოვრებელი შენობები	2111	2,473	2,521
530	არასაცხოვრებელი შენობები	2112	22,463,556	19,169,017
560	გზები	2115	49,999	49,999
590	გაყვანილობის სისტემები	2118	1,269,449	894,781
600	სხვა ნაგებობები	2119	2,691,023	1,677,046
610	სატრანსპორტო საშუალებები	2121	7,648,822	6,370,904
620	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2122	13,943,626	6,823,639
630	კულტივირებული აქტივები	2131	1,153,921	1,042,232
640	არამატერიალური ძირითადი აქტივები	2132	1,099,285	592,368
650	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2141	341,933	109
670	ტექნიკა	2210	31,880	29,706
680	ინვენტარი	2220	186,083	116,997
690	მოწყობილობა	2230	12,159	8,505
700	სხვა მცირეფასიანი აქტივები	2240	618,768	610,154
740	მიწა	2410	7,139,327	6,344,167
770	არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	2440	3,818	-
			1,293,749,982	1,397,213,157

სოფლის მეურნეობის სამინისტრო
დანართი N1 ინფორმაცია ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების ანგარიშებზე და საცნობარო მუხლებზე
არსებული ნაშთების შესახებ (გაგრძელება)

კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს	ნაშთი წლის დასაწყისისთვის
III. ვალდებულებები				
780	ვალდებულებები დეპოზიტებით	3110	-	1,339,345
840	საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210	792,930	1,517,590
850	არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220	1,883	-
870	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241	14,855	44,483
880	გადასახდელი დღგ	3242	147,738	107,567
890	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243	248,383	248,396
900	სხვა გადასახდელები	3244	-	349
910	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3245	3,122,963	3,149,322
920	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251	1,520,593	1,520,688
930	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252	1,730	240
940	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253	76,679	77,289
1050	წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლები	3282	26,995	18,289
1070	დარიცხული გადასახდელი პროცენტები	3284	544,200	498,498
1090	სხვა დარიცხული მოკლევადიანი ვალდებულებები	3286	1,572	3,500
1110	გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები არასაბიუჯეტო სახსრებით	3312	3,300,000	3,300,000
1120	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320	1,000,000	-
1160	წმინდა ღირებულება	5100	1,261,060,410	1,332,526,708
1170	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210	20,250,740	51,582,650
1180	გაუნაწილებელი მოგება	5220	1,638,311	1,278,243
			1,293,749,982	1,397,213,157
საცნობარო მუხლები				
1210	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02	91,254	86,796
1220	გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03	7,148,254	4,889,384
1230	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	202,758	158,331
1250	პირობითი ვალდებულებები	06	1,123	1,123
1270	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08	7,567,169	7,063,881
1280	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09	887,137	542,668
1290	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	1,900,485	1,322,575
1300	განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	11	93,583	79,885

სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დანართი N2 ორგანიზაციის ანგარიში შემოსავლების და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

კოდი	შემოსავლების და ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით		საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით		ვალდებულება		საკასო		ფაქტობრივი	
			ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა
010	1. შემოსავლები	1	-	1,425,000	3,800	1,499,500			2,254,415	4,902,029	38,507,044	4,319,828
020	1.1 გადასახადები	11	-	-	-	-			-	-	-	-
030	1.2 გრანტები	13	-	-	-	-			2,254,415	61,250	34,579,224	61,250
040	1.3 სხვა შემოსავლები	14	-	1,425,000	-	985,000			-	4,840,779	3,927,820	4,258,578
050	1.3.1 შემოსავლები საკუთრებიდან	141	-	-	-	-			-	1,800	-	1,525
060	1.3.2 საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	-	1,425,000	-	985,000			-	4,837,858	-	4,201,050
070	1.3.3	143	-	-	-	-			-	1,121	3,878,921	1,329
080	სანქციები, ჯარიმები, საურავები	144	-	-	-	-			-	-	2,801	-
090	1.3.4 ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	145	-	-	-	-			-	-	46,098	54,674
090	1.3.5 შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები		-	-	-	-			-	-		
100	2. ხარჯები	2	168,330,010	44,810,100	182,565,670	52,440,289	186,989,887	36,096,049	186,784,059	35,848,708	434,309,490	36,305,049
110	2.1 შრომის ანაზღაურება	21	20,770,000	2,048,900	20,568,500	2,048,160	20,521,249	1,984,953	20,501,401	1,983,468	20,500,849	1,983,467
120	2.1.1 ხელფასები	211	-	-	-	-	20,521,249	1,984,953	20,501,401	1,983,468	20,500,849	1,983,467
130	2.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	-	-	-	-	20,521,249	1,984,953	20,501,401	1,983,468	20,500,849	1,983,467
140	2.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111	-	-	-	-	15,558,967	-	15,552,382	-	15,551,948	-
160	2.1.1.1.3 პრემია	21113	-	-	-	-	2,276,067	1,602,567	2,267,735	1,601,083	2,267,735	1,601,082
170	2.1.1.1.4 დანამატი	21114	-	-	-	-	2,686,215	382,386	2,681,284	382,385	2,681,166	382,385
150	2.2 საქონელი და მომსახურება	22	25,879,010	5,429,400	24,643,670	4,642,025	26,727,990	2,988,594	26,567,895	2,900,287	27,597,003	2,946,730
160	2.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221	-	-	-	-	6,307,195	891,043	6,295,735	857,602	6,297,463	861,588
170	2.2.2 მივლინებები	222	-	-	-	-	1,814,389	305,188	1,793,358	297,508	1,782,414	299,158
180	2.2.3 ოფისის ხარჯები	223	-	-	-	-	2,871,627	483,693	2,814,739	447,318	2,855,883	426,648
190	2.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224	-	-	-	-	410,964	5,954	410,510	5,951	497,954	5,758
200	2.2.5 კვების ხარჯები	225	-	-	-	-	-	4,360	-	4,360	-	3,511

სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დანართი N2 ორგანიზაციის ანგარიში შემოსავლების და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (გაგრძელება)

კოდი	შემოსავლების და ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით		საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით		ვალდებულება		საკასო		ფაქტობრივი	
			ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა
210	2.2.6 სამედიცინო ხარჯები	226	-	-	-	-	3,030,432	55,383	3,027,692	55,213	4,347,957	67,954
220	2.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	227	-	-	-	-	65,284	8,159	65,284	8,159	166,628	6,367
230	2.2.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228	-	-	-	-	2,157,519	253,961	2,121,133	246,842	2,238,853	285,187
240	2.2.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები	229	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
250	2.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210	-	-	-	-	10,070,580	980,853	10,039,444	977,334	9,409,851	990,559
260	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23	-	-	-	-	-	-	-	-	3,808,551	186,227
270	1.4 პროცენტი	24	-	-	-	-	-	-	-	-	-	45,702
340	1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე	243			-	-	-	-	-	-	-	45,702
350	1.5 სუბსიდიები	25	67,325,000	19,654,200	51,140,000	24,001,396	51,138,694	22,535,218	51,138,280	22,389,541	67,166,989	23,416,654
360	1.6 გრანტები	26	380,000	-	870,050	-	919,348	-	919,280	-	55,438,812	-
400	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	262	-	-	-	-	499,348	-	499,280	-	499,280	-
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621	-	-	-	-	499,348	-	499,280	-	499,280	-
430	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263	-	-	-	-	420,000	-	420,000	-	54,939,532	-
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631	-	-	-	-	420,000	-	420,000	-	454,066	-
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632	-	-	-	-	-	-	-	-	54,485,468	-
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	150,000	70,000	210,300	70,000	202,074	16,008	196,402	16,008	196,401	16,008
530	1.7.3 დამჭირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273			-	-	202,074	16,008	196,402	16,008	196,401	16,008
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731			-	-	202,074	16,008	196,402	16,008	196,401	16,008
560	1.8 სხვა ხარჯები	28	53,826,000	17,607,600	85,133,150	21,678,708	87,480,532	8,571,276	87,460,801	8,559,404	259,600,885	7,710,261
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282			-	-	87,480,532	8,571,276	87,460,801	8,559,404	259,600,885	7,710,261
630	1.8.2.1 მიმდინარე	2821			-	-	85,169,092	2,964,971	85,149,361	2,953,099	224,493,781	2,103,956
640	1.8.2.2 კაპიტალური	2822			-	-	2,311,440	5,606,305	2,311,440	5,606,305	35,107,104	5,606,305

სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დანართი N3 ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	არაფინანსური აქტივების ოპერაციების კოდები	დამტკიცებული გეგმით		დაზუსტებული გეგმით		ვალდებულება		საკასო	
			ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა
010	1. არაფინანსური აქტივების ზრდა	31	15,369,990	267,000	14,149,990	334,200	14,373,177		14,347,805	247,112
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	-	-	-	-	14,365,704		14,340,333	246,775
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111	-	-	-	-	4,426,188		4,400,822	12,399
050	1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112	-	-	-	-	4,072,517		4,047,805	12,399
110	1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	31118	-	-	-	-	31,556		31,556	-
140	1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111	-	-	-	-	322,115		321,461	-
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	-	-	-	-	9,447,056		9,447,051	234,376
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121	-	-	-	-	3,926,243		3,926,238	220,003
170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122	-	-	-	-	5,520,813		5,520,813	14,373
180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113	-	-	-	-	492,460		492,460	-
190	1.1.3.1 კულტივირებული აქტივები	31131	-	-	-	-	58,952		58,952	-
200	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132	-	-	-	-	433,508		433,508	-
210	1.1.3.2.1 ლიცენზიები	311321	-	-	-	-	329,910		329,910	-
